საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 703/01
01/02/2021

703-01-2-202102011351

შპს „ფოთი ფაუნდრის“

მის: ქ. ფოთი, მალთაყვის სანაპირო N7

ელ. ფოსტა: wakhtang@sofmar.ge
valeriy09@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 30 დეკემბრის N21055 სკრინინგის განცხადება და 2021 წლის 14 იანვრის N244 დამატებით წარმოდგენილი კორექტირებული სკრინინგის განცხადება, რომლებიც ეხება ქ. ფოთში შპს ,,ფოთი ფაუნდრის“ მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

სკრინინგის განცხადებების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანია გეგმავს 5150 ტ/წელ ალუმინის ჯართის გადამუშავებას და წელიწადში 5000 ტონა ალუმინის ნამზადის წარმოებას. ნაცვლად სპილენძის ჯართის (3100 ტ/წელ) გადამუშავებისა და სპილენძის ნამზადის წარმოებისა (3000 ტ/წელ). თუმცა, სკრინინგის განცხადებებში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს:

- საწარმოში დასამუშავებელად მიღებული ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
- დასამუშავებელი ნარჩენების აღდგენისა და განთავსების ოპერაციების კოდები და მათი აღწერილობა ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართის შესაბამისად;

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ფოთი ფაუნდრი“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე